EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

მეოთხე სექცია

განჩინება

საჩივარი №17847/10
ადელ ჯავახაძე
საქართველოს წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (მეოთხე სექცია), კომიტეტის 2017 წლის 24 იანვრის სხდომაზე, შემდეგი შემადგენლობით:

კრჟიშტოფ ვოიტიჩეკი, *თავმჯდომარე,*
ნონა წოწორია,
მარკო ბოშნიაკი, *მოსამართლეები,*
და *სექციის განმწესრიგებელი მოადგილე,* ანდრეა ტამიეტი,

მხედველობაში მიიღო 2010 წლის 26 მარტს შემოტანილი წინამდებარე საჩივარი,

მხედველობაში მიიღო მოპასუხე მთავრობის მიერ 2016 წლის 26 სექტემბერს წარმოდგენილი დეკლარაცია, რომლითაც სასამართლოს ეთხოვა საჩივარი განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამოერიცხა და ასევე მხედველობაში მიიღო მომჩივნის პასუხი ამ დეკლარაციაზე,

განხილვის შედეგად გამოიტანა შემდეგი განჩინება:

ფაქტები და პროცედურა

1. მომჩივანი, ქალბატონი ადელ ჯავახაძე, არის საქართველოს მოქალაქე, დაბადებული 1942 წელს და მცხოვრები ქუთაისში. სასამართლოს წინაშე მას წარმოადგენდა ბატონი გ. ჩხეიძე, ადვოკატი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს ქუთაისში.

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

2. საქართველოს მთავრობა (შემდგომში "მთავრობა") წარმოდგენილი იყო სახელმწიფო წარმომადგენლის, ბ-ნი ბ. ძამაშვილის მირ, იუსტიციის სამინისტროდან.

3. 2008 წლის 19 სექტემბერს, სახელმწიფო კომისიამ, რომელიც განიხილავდა სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის საკითხებს („საკუთრების უფლების აღიარების კომისია“) უარი უთხრა მომჩივანს ორი მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებაზე, რომელიც სავარაუდოდ მის ფაქტობრივ მფლობელობაში იყო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

4. მომჩივანმა საჩივარი შეიტანა სასამართლოში. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 21 მაისის გადაწყვეტილებით გაუქმდა 2008 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილება, ვინაიდან გამოტანილი იყო პროცედურული წესების დარღვევით და კომისიას დაევალა მომჩივნის მოთხოვნის ხელახალი განხილვა, ახალი გადაწყვეტილების გამოტანით.

5. 2009 წლის 21 მაისს მიღებული გადაწყვეტილება საბოლოო გახდა და 2009 წლის 17 აგვისტოს გამოიცა სააღსრულებო ფურცელი. თუმცა, მიუხედავად მომჩივნის მიერ სხვადასხვა უწყებაში შეტანილი საჩივრებისა, საბოლოოდ გადაწყვეტილება არ აღსრულებულა.

6. 2016 წლის 2 მარტს მთავრობას კონვენციის მე-6 § 1-ლი მუხლის და დამატებითი ოქმის პირველი მუხლის შესაბამისად, გაეგზავნა შეტყობინა საჩივრის შესახებ.

სამართალი

7. მორიგების მიღწევის წარუმატებლობის შემდეგ, 2016 წლის 26 სექტემბერს მთავრობამ სასამართლოს წერილობით აცნობა, რომ დავის მოგვარების მიზნით წარმოადგენდნენ ცალმხრივ დეკლარაციას საჩივართან დაკავშირებით. ასევე, მთავრობამ სთხოვა სასამართლოს კონვენციის 37-ე მუხლის შესაბამისად, ამოერიცხათ დავა განსახილველ საქმეთა ნუსხიდან.

8. აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც მთავრობამ აღიარა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 21 მაისის გადაწყვეტილების აღუსრულებლობა, რითაც დაირღვა მომჩივნის კონვენციით დაცული უფლებები, მთავრობამ აიღო შემდეგი ვალდებულებები:

"მიმდინარე საქმის სპეციფიკური გარემოებების გათვალისწინებით, მთავრობა ვალდებულებას იღებს:

– საკუთრების აღიარების შესახებ მომჩივნის საჩივრის ხელახალი დეტალური განხილვის შედეგად, გამოიცეს ახალი გადაწყვეტილება ამ საკითხზე, სასამართლოს 2009 წლის 21 მაისის გადაწყვეტილების შესაბამისად;

– გადაუხადოს მომჩივანს 3, 500 (სამი ათას ხუთასი) ევრო ნებისმიერი მატერიალური და მორალური ზიანის და ასევე ხარჯებისა და დანახარჯების ასანაზღაურებლად, რომლის კონვერტაციაც მოხდება მოპასუხე სახელმწიფოს ეროვნულ ვალუტაში გადახდის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსის მიხედვით და რომელიც გათავისუფლდება ნებისმიერი მოქმედი გადასახადისგან. გადახდა უნდა მოხდეს სასამართლოს მიერ კონვენციის 37 § 1 მუხლის შესაბამისად გამოტანილი განჩინების შეტყობინებიდან სამი თვის ვადაში. ამ თანხის ზემოთ ხსენებულ სამთვიან ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, მთავრობა ვალდებულებას იღებს, გადაიხადოს ამ თანხაზე დარიცხული მარტივი პროცენტი სამთვიანი ვადის ამოწურვის დღიდან ფაქტობრივი გადახდის დღემდე, იმ განაკვეთით, რომელიც შეესაბამება საჯარიმო პერიოდში მოქმედ ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრულ სასესხო განაკვეთს, რასაც დაემატება 3 პროცენტი.

9. 2016 წლის 17 ოქტომბრის წერილით, მომჩივანმა აღნიშნა, რომ ცალმხრივი დეკლარაციით შეთავაზებული პირობები მისთვის მისაღები არ იყო ვინაიდან მთავრობის მიერ შეთავაზებული ფულადი კომპენსაცია არ იყო საკმარისი.

10. სასამართლო იმეორებს რომ კონვენციის 37–ე მუხლის თანახმად, მას სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე შეუძლია გადაწყვიტოს განსახილველ საქმეთა სიიდან საჩივრის ამორიცხვა, თუ არსებობს აღნიშნული მუხლის 1–ელი პარაგრაფის (a), (b) ან (c) პუნქტებით დადგენილი გარემოებებიდან ერთ–ერთი გარემოება. 37 § 1 (c) მუხლი უფლებას აძლევს სასამართლოს სიიდან ამორიცხოს საჩივარი, თუ:

"სასამართლოს მიერ დადგენილი რაიმე სხვა მიზეზის გამო გაუმართლებელია საჩივრის განხილვის გაგრძელება."

11. ასევე, სასამართლო განმეორებით აცხადებს, 37 § 1 (c) მუხლის თანახმად გარკვეულ გარემოებებში სასამართლოს შეუძლია განსახილველ საქმეთა ნუსხიდან საჩივრის ამორიცხვა, მოპასუხე მთავრობის ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველზე, მაშინაც კი თუ მომჩივანს საქმის განხილვის გაგრძელება სურს.

12. ამ მიზნით, სასამართლო ყურადღებით განიხილავს მოპასუხე მთავრობის დეკლარაციას წინამდებარე საქმეზე პრეცედენტული სამართლის პრინციპების კუთხით, კერძოდ *ტაჰსინ აკარის* განჩინება (*Tahsin Acar v. Turkey* (preliminary

objections) [GC], no. 26307/95, §§ 75-77, ECHR 2003-VI; see also *WAZA Sp. z o.o. v. Poland* (dec.), no. 11602/02, 26 June 2007, and *Sulwińska v. Poland* (dec.), no. 28953/03, 18 September 2007).

13. სასამართლომ განიხილა რიგი საქმეები, სხვებს შორის, საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი საჩივრები, რომლებიც ეხებოდა სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობას (სხვებს შორის, იხილეთ *Burdov v. Russia*, no. 59498/00, §§ 33-42, ECHR 2002-III, and *Amat-G Ltd and Mebaghishvili v. Georgia*, no. 2507/03, §§ 45-63, ECHR 2005-VIII).

14. მთავრობის აღიარებების ხასიათისა და დეკლარაციის პირობების, ასევე, შეთავაზებული კომპენსაციის ოდენობის გათვალისწინებით, რომელიც სასამართლოს მოსაზრებით შეესაბამება მსგავს შეთხვევებში მინიჭებულ თანხას, სასამართლო მიიჩნევს, რომ საჩივრის განხილვა აღარ არის გამართლებული (37 §1 (c) მუხლი).

15. ამასთანავე, ზემოთ მოყვანილი მსჯელობის გათვალისწინებით, კერძოდ კი, საკითხზე არსებული ცალსახა და ვრცელი პრეცედენტული სამართლის არსებობის პირობებში, სასამართლო დარწმუნებულია, რომ კონვენციითა და მისი ოქმებით გათვალისწინებული ადამიანის უფლებების დაცვა არ მოითხოვს საჩივრის შემდგომ განხილვას (მუხლი 37 §1).

16. ბოლოს, სასამართლო ხაზს უსვამს, რომ იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა არ შეასრულებს ცალმხრივი დეკლარაციის პირობებს, საჩივარი აღდგება განსახილველ საქმეთა ნუსხაში კონვენციის 37–ე მუხლის § 2 შესაბამისად (იხ. *ოსიპოვიჩი სერბეთის წინააღმდეგ* (dec.), # 18369/07, 4 მარტი 2008).

17. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია საჩივრის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვა.

აქედან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად აცხადებს, რომ:

მხედველობაში იღებს მოპასუხე მთავრობის დეკლარაციას კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის და დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის შესაბამისად და დეკლარაციაში მითითებული ვალდებულებების შესრულების პირობებს;

გადაწყვეტილებას იღებს კონვენციის 37 § 1 (c) პარაგრაფის შესაბამისად ამორიცხოს საჩივარი განსახილველ საქმეთა ნუსხიდან.

დოკუმენტი მომზადდა ინგლისურ ენაზე და წერილობით ეცნობათ 2017 წლის 16 თებერვალს.

ანდრეა ტამიეტი
სექციის განმწესრიგებელი მოადგილე

კრჟიშტოფ ვოიტიჩეკი,
თავმჯდომარე